დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის

საგრანტო პროგრამა

განმახორციელებელი უწყება: სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

2021-2022 წელი

სარჩევი

შესავალი 2
1. პროგრამის მიზანი 3
2.პროგრამის შედეგი 4
3. პროგრამის აღწერა 4
3.1. საგრანტო განაცხადების წარმოდგენა 5
3.2. საგრანტო განაცხადების შემოწმება და განხილვა 7
3.2.1.საკვალიფიკაციო მოთხოვნები 7
3.2.2. შეფასების კრიტერიუმები 8
3.3. გამარჯვებული საგრანტო განაცხადის გამოვლენა 13
3.4. პროგრამის გავრცელების არეალი 14
3.5. პროგრამის ხანგრძლივობა 14
4. პროგრამის ბიუჯეტი 14
5. პროგრამის მონიტორინგი 14

შესავალი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები - დევნილები (შემდგომში - დევნილი) და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახები (ეკომიგრანტი) მოსახლეობის ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ფენას წარმოადგენენ, რომლებიც სახელმწიფოსგან განსაკუთრებულ მიდგომასა და მხარდაჭერას საჭიროებენ.

განათლება, მათ შორის პროფესიული განათლება და პროფესიული განათლებით თვითდასაქმება წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ერთ-ერთ მდგრად საშუალებას. ამ მიზნით, სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) ახორციელებს „დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამას“ (შემდგომში - პროგრამა).

წინამდებარე პროგრამა განკუთვნილია დევნილებისათვის, ასევე, იმ ეკომიგრანტი ოჯახის წევრებისთვის, რომლებზეც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის N779 ბრძანების შესაბამისად, უფლებამოსილი კომისიის მიერ მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფის თაობაზე (შემდგომში - ეკომიგრანტი).

1. პროგრამის მიზანი

პროგრამის ზოგადი მიზანია, დევნილთა და ეკომიგრანტთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი საარსებო მდგომარეობის გაუმჯობესება, თვითდასაქმების პერსპექტივის შექმნის გზით.

პროგრამის კონკრეტული მიზანია, დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობა მათთვის სახელობო იარაღების გადაცემის გზით. ისევე, როგორც დევნილთა და ეკომიგრანტთა შორის პროფესიული განათლების პოპულარიზაცია.

2.პროგრამის შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად, 50 დევნილი და ეკომიგრანტი, რომელიც არის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების (იხ. **დანართი N1**) 2013 და შემდეგი წლების კურსდამთავრებული და/ან ამავე წლების, სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ სერტიფიცირებული ბენეფიციარი, პროგრამის შესაბამისად, მიიღებს სახელობო იარაღებს დამოუკიდებელი საქმიანობის წამოსაწყებად ან გასაუმჯობესებლად.

3. პროგრამის აღწერა

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან და სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით, განისაზღვრა თვითდასაქმებადი პროფესიათა ჩამონათვალი **(დანართი N2).** პროგრამის ბიუჯეტის გათვალისწინებით, დევნილი და ეკომიგრანტი, რომელიც არის „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების 2013 და შემდეგი წლების კურსდამთავრებული და/ან ამავე წლების, სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ სერტიფიცირებული ბენეფიციარი და ფლობს პროგრამის N2 დანართით განსაზღვრულ პროფესიას, თვითდასაქმების ხელშეწყობისა და შემოსავლის წყაროს გაჩენის მიზნით, გრანტის სახით მიიღებს სახელობო იარაღ(ებ)ს.

ერთ განმცხადებელს შეუძლია მოითხოვოს არაუმეტეს 3 ნივთი, რომელთა შესახებ განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს არანაკლებ 1 ინვოისი. ინვოისით გათვალისწინებული სახელობო იარაღების ერთეულის ღირებულება უნდა იყოს არანაკლებ 150 ლარი, ხოლო

ჯამური ღირებულება - არაუმეტეს 2 000 ლარის. ნაკრების შეძენა დასაშვებია, იმ შემთხვევაში, თუ ნაკრები მოიცავს ქარხნულად შეკრებილ ერთგვაროვან ნივთებს.

პროგრამის ფარგლებში, შესაძენად მოთხოვნილი ნივთი ხელმისაწვდომი უნდა იყოს საქართველოს მასშტაბით.

დაფინანსებას არ ექვემდებარება:

ა) დევნილის/ეკომიგრანტის მიერ წარმოდგენილი ერთზე მეტი საგრანტო განაცხადი. განმცხადებელს შეუძლია მხოლოდ ერთი ინიციატივის მოთხოვნა;

ბ) განმცხადებელი, თუ ის ან/და მისი ოჯახის წევრი 2019 -2021 წლებში სააგენტოს საარსებო წყაროების პროგრამების ფარგლებში დაფინანსებულია ნატურის სახით მინიმუმ 2-ჯერ;

გ) განმცხადებელი, თუ სააგენტოს „თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსებულია მინიმუმ 2-ჯერ;

დ) საბრუნავი კაპიტალი; სახარჯი მასალა და სხვა ნებისმიერი სახის საქონელი, რომელიც არ წარმოადგენს ძირითად საშუალებას, ანუ ქონებას, რომლის გამოყენების ვადაც ერთ წელზე ნაკლებია;

ე) უძრავი ქონების შესყიდვასთან, ქირასთან, იჯარასთან ან ქონების სხვა ნებისმიერი მართლზომიერი ფორმით ფლობასთან დაკავშირებული ხარჯი;

ვ) მეორადი ნივთების შეძენა;

ზ) ნივთები, რომელიც არ წარმოადგენს განმცხადებლის პროფესიის სახელობო იარაღებს.

3.1. საგრანტო განაცხადების წარმოდგენა

პროგრამის განხორციელების პროცესში, განისაზღვრება საგრანტო განაცხადების მიღების ვადა. განაცხადების მიღების კონკრეტული თარიღი განისაზღვრება სააგენტოს დირექტორის შესაბამისი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

პროგრამაში მონაწილეობისათვის, დაინტერესებულმა დევნილმა და ეკომიგრანტმა უნდა შეავსოს პროგრამის ფარგლებში შემუშავებული საგრანტო განაცხადი **(დანართი N3)** და თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგინოს სააგენტოში ან სააგენტოს ტერიტორიულ სამმართველოებში, შემდეგ მისამართებზე:

1. ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ.N15ა;
2. ქ. გორი, სამების ქუჩა N1;
3. ქ. რუსთავი, კოსტავას N20 (მე-4 სართული, რუსთავის მერიის შენობა);

4. ქ. ქუთაისი, ირ. აბაშიძის გამზ. N27
5. ქ. ზუგდიდი, დ. აღმაშენებლის ქ. N106

ან შევსებული და დასკანერებული სახით, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად გამოგზავნოს სააგენტოს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე: info@idp.gov.ge.

საგრანტო განაცხადს თან უნდა ერთოდეს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. განმცხადებლის პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი;
2. N2 დანართით გათვალისწინებული პროფესიის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი, სერტიფიკატი ან ცნობა სასწავლებლიდან პროფესიის, სწავლის დასრულების თარიღის მითითებით);
3. საგრანტო განაცხადების მიღების ვადაში გაცემული 1 ინვოისი ყველა სახელობო იარაღზე, რომლის შეძენაც მოთხოვნილია წარმოდგენილი საგრანტო განაცხადით. ინვოისი უნდა მოიცავდეს სახელობო იარაღის მახასიათებელს, მოდელსა და ღირებულებას;
4. სურვილისამებრ, განმცხადებლის მოწყვლადობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, თუ განმცხადებელი ან/და მისი ოჯახის წევრი არის:
   ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი - საგრანტო განაცხადს თან უნდა დაერთოს შესაბამისი პირის შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დამდგენი დოკუმენტი ან სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოდან საგრანტო განაცხადების მიღების ვადაში აღებული ცნობა;
   ბ) მარჩენალდაკარგული - ცნობა სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოდან იმის მითითებით, რომ ოჯახი მარჩენალდაკარგულია, რის გამოც არასრულწლოვან შვილს (შვილებს) დანიშნული აქვს სოციალური პაკეტი ან ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი მოწმობა;
   გ) მარტოხელა მშობელი - სტატუსის დასადასტურებლად უნდა წარმოადგინოს შვილ(ებ)ის დაბადების მოწმობის ასლ(ებ)ი, თუ მამის მონაცემები არ არის დაფიქსირებული; თუ მამის მონაცემები დაფიქსირებულია შვილ(ებ)ის დაბადების მოწმობაში დედის მითითების საფუძველზე, დაბადების მოწმობის ასლთან ერთად უნდა წარმოადგინოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა/გადაწყვეტილება მარტოხელა მშობლის სტატუსის დადგენის შესახებ;
   დ) ვეტერანი - ვეტერანის მოწმობა.

საგრანტო განაცხადით გათვალისწინებული საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის ან/და საგრანტო განაცხადის შეფასებისთვის, საჭიროების შემთხვევაში მოთხოვნილი იქნება დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა. დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, განაცხადი დარჩება განუხილველი.

დაინტერესებულ დევნილსა და ეკომიგრანტს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საგრანტო განაცხადი, ერთი პროფესიის მიმართულებით თვითდასაქმების მიზნით.

3.2. საგრანტო განაცხადების შემოწმება და განხილვა

წარმოდგენილ საგრანტო განაცხადს ამოწმებს სააგენტოს საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) და განიხილავს პროგრამის ფარგლებში შექმნილი საგრანტო კომისია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ გრანტის გაცემის წესის“ შესაბამისად.

დეპარტამენტი უზრუნველყოფს წარმოდგენილი საგრანტო განაცხადების შემოწმებას და ადგენს რამდენად შესაბამისია პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

დეპარტამენტი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, შემოწმების ეტაპზე, განმცხადებელს განუსაზღვროს ვადა არაუმეტეს 10 კალენდარული დღის ოდენობით და მოსთხოვოს მას საგრანტო განაცხადში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გამოსწორება, სავალდებულოდ წარმოსადგენი ან დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა ან/და ინფორმაციის დაზუსტება. ამავდროულად, მოთხოვნილი დოკუმენტაცია პირდაპირ უნდა იყოს დაკავშირებული პროგრამის მიზნების განხორციელებასთან. განმცხადებელს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია, რა მიზნით ითხოვს დეპარტამენტი დოკუმენტაციის წარდგენას. აღნიშნულის თაობაზე, სააგენტოსა და განმცხადებელს შორის კომუნიკაცია შესაძლებელია როგორც წერილობითი, ისე სატელეფონო და ელექტრონული შეტყობინებით. სატელეფონო შეტყობინების შემთხვევაში, საგრანტო განაცხადის გარეკანზე უნდა გაკეთდეს შესაბამისი მინიშნება შეტყობინების თარიღის მითითებით.

დეპარტამენტი არ გადასცემს საგრანტო კომისიას განაცხადს განსახილველად და იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ, თუ ის არ აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ან განმცხადებელმა განსაზღვრულ ვადაში არ აღმოფხვრა ტექნიკური ხარვეზი ან/და არ დააზუსტა ან/და არ წარმოადგინა მოთხოვნილი დოკუმენტაცია/ინფორმაცია; განმცხადებელმა ნებაყოფლობით უარი განაცხადა საგრანტო კონკურსში მონაწილეობაზე; არსებობს სხვა ობიექტური გარემოება, რის გამოც განაცხადის განხილვას შედეგი არ ექნება.

3.2.1.საკვალიფიკაციო მოთხოვნები

პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელსაც ამოწმებს დეპარტამენტი:

1. საგრანტო განაცხადი წარმოდგენილია დადგენილ ვადაში, ხელმოწერილია, შევსებულია სრულყოფილად და თანდართულია წარმოსადგენი დოკუმენტაცია; მათ შორის, საგრანტო განაცხადის წარმოდგენის შემდეგ მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია;

2. განმცხადებელი არის დევნილის აქტიური სტატუსის მქონე ან იმ ეკომიგრანტი ოჯახის წევრი, რომელზეც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის N779 ბრძანების შესაბამისად, უფლებამოსილი კომისიის მიერ მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფის თაობაზე;
3. განმცხადებელი არის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების (დანართი N1) 2013 და შემდეგი წლების კურსდამთავრებული და/ან ამავე წლების, სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ სერტიფიცირებული ბენეფიციარი და ფლობს N2 დანართით გათვალისწინებულ პროფესიას;
4. საგრანტო განაცხადით მოთხოვნილია არაუმეტეს 3 სახელობო იარაღის შეძენა არაუმეტეს 2 000 ლარის ღირებულების ფარგლებში. ამასთანავე, ერთი ნივთის ღირებულება არ უნდა იყოს 150 ლარზე ნაკლები;
5. განაცხადი არ ითვალისწინებს ისეთი საქმიანობის მხარდაჭერას, რომელიც პროგრამის ფარგლებში არ ფინანსდება;
6. წარმოდგენილ განაცხადზე დადებითი გადაწყვეტილების მიღება არ ეწინააღმდეგება გრანტის თაობაზე საქართველოს კანონმდებლობას.

3.2.2. შეფასების კრიტერიუმები

შემოწმების ეტაპის წარმატებით გავლის შემდეგ, დეპარტამენტის მიერ პირველადი შეფასების კრიტერიუმებით შეფასებული განაცხადები წარედგინება პროგრამის ფარგლებში შექმნილ საგრანტო კომისიას (შემდგომში - კომისია), რომელიც წარმოდგენილი განაცხადების სიმრავლისა და იმ რაოდენობის გათვალისწინებით, რამდენი გამარჯვებულიც უნდა გამოვლინდეს ადგენს მინიმალური ქულის ზღვარს.

ა) პირველადი შეფასების კრიტერიუმები:

N	კრიტერიუმი	ქულა
1	**განმცხადებლის ოჯახის წევრების რაოდენობა** (სააგენტოს მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით)	6 და მეტი წევრი - 1.5 3-5 წევრი - 1 ქულა 1 – 2 წევრი - 0,5
2	**განმცხადებელი ან/და მისი ოჯახის წევრი არის სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ქულით 100 001-მდე**	არის სოციალურად დაუცველი - 1 ქულა არ არის სოციალურად დაუცველი - 0,5 ქულა

3	**სწავლის დასრულების წელი**	2020 და შემდეგ - 1 ქულა 2018-2019 – 0.5 ქულა 2013-2017 – 0 ქულა
4	**მოთხოვნილი ნივთებით ხდება განმცხადებლის აღჭურვა:**	სრულად ან/და ნაწილობრივ, ისე, რომ შესაძლებელია საქმიანობის განხორციელება - 1 ქულა საეჭვოა საქმიანობის განხორციელება, დასჭირდება დამატებითი ინვესტიცია - 0,5 ქულა
5	**მოთხოვნილი ნივთების გამოყენებას განმცხადებელი გეგმავს**	სრული დატვირთვით, სტაბილურად - 1 ქულა სეზონურად/იშვიათად/მხოლოდ განსაკუთრებული სპეციფიური სამუშაოსთვის - 0,5 ქულა
6	**განმცხადებლის ან მისი ოჯახის წევრის (სააგენტოს მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით) მიერ სააგენტოს პროგრამების ფარგლებში მიღებული სარგებელი**	არ მიუღია დაფინანსება ნატურის სახით - 1 ქულა მიღებული აქვს სარგებელი საარსებო წყაროების სხვა პროგრამების ფარგლებში - 0,5 ქულა მიღებული აქვს სარგებელი ნატურის სახით ამავე პროგრამის ფარგლებში - 0 ქულა
	მაქსიმალური ქულა	6.5

განაცხადები, რომლებიც მიიღებენ დადგენილ მინიმალურ ქულას ან მასზე მაღალს, დაექვემდებარება მონიტორინგს. ხოლო, განაცხადებზე, რომლებიც ვერ მიიღებენ დადგენილ ქულას, მიღებული იქნება გადაწყვეტილება განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, აღმოჩნდა, რომ პირველადი შეფასების კრიტერიუმით შეფასებული გარემოება არ დადასტურდა, მონიტორინგის შედეგის გათვალისწინებით, დაკორექტირდება შეფასების პირველ ეტაპზე მინიჭებული ქულა.

მონიტორინგის განხორციელების შემდეგ, დეპარტამენტი წარმოდგენილ საგრანტო განაცხადებს გადასცემს საგრანტო კომისიას, რომელიც განიხილავს და აფასებს შეფასების კრიტერიუმებით და ავლენს გამარჯვებულებს.

საგრანტო განაცხადი ფასდება განაცხადში მითითებული ინფორმაციისა და მონიტორინგის ანგარიშის გათვალისწინებით. თითოეულ კრიტერიუმს მინიჭებული აქვს შესაბამისი ქულა. კომისიის მიერ ხმათა უმრავლესობით თითოეულ შეფასების კრიტერიუმზე დაიწერება შესაბამისი ქულა. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კომისიის წევრი არ ეთანხმება ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტილ ქულას, აღნიშნულის თაობაზე აისახება ოქმში. ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა 14.

ბ) შეფასების კრიტერიუმები:

N	კრიტერიუმი	განმარტება	ქულა
1	**საჭიროება**		
	განმცხადებლის მიერ შესაძენად მოთხოვნილი სახელობო იარაღების საჭიროება თვითდასაქმებისთვის	შესაძენად მოთხოვნილი ნივთები საჭიროა საქმიანობის განსახორციელებლად და/ან მისი განვითარებისთვის.	2
		შესაძენად მოთხოვნილი ნივთები მეტნაკლებად საჭიროა საქმიანობის განსახორციელებლად და/ან მისი განვითარებისთვის.	1
		შესაძენად მოთხოვნილი ნივთების გარეშე, შესაძლებელია საქმიანობის წარმართვა. მოცემულ მომენტში არ დგას მათი შეძენის აუცილებლობა.	0
თუ განმცხადებელმა პირველ შეფასების კრიტერიუმში (შესაძენად მოთხოვნილი ნივთების საჭიროება) მიიღო 0 ქულა, კომისია აღარ აგრძელებს განაცხადის შეფასებას და მიიღება გადაწყვეტილება განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.			
2	**გამოცდილება, ცოდნა, უნარი**		
	განმცხადებლის კვალიფიკაცია, უნარი, მუშაობის/სტაჟირებაზე ყოფნის გამოცდილება	განმცხადებელს აქვს კვალიფიკაცია, უნარი, სამუშაო/სტაჟირებაზე ყოფნის გამოცდილება, რომელიც საკმარისია საქმიანობის განხორციელებისათვის.	2
		განმცხადებელს აქვს კვალიფიკაცია, სამუშაო/სტაჟირებაზე ყოფნის გამოცდილება, რომელიც, არასაკმარისია საქმიანობის განხორციელებისათვის.	1
		განმცხადებელს არ აქვს სათანადო კვალიფიკაცია, სამუშაო/სტაჟირებაზე ყოფნის გამოცდილება საქმიანობის წარმართვისთვის.	0
3	**მიღებული სახელობო იარაღების გამოყენება**		

	განმცხადებლის ცოდნა/შესაძლებლობა მოთხოვნილი სახელობო იარაღების მართვის/გამოყენების	უშუალოდ განმცხადებელმა იცის/შეუძლია მოთხოვნილი ყველა სახელობო იარაღის გამოყენება	2
		განმცხადებელს არ აქვს საკმარისი კვალიფიკაცია დამოუკიდებლად გამოიყენოს მოთხოვნილი სახელობო იარაღ(ებ)იდან რომელიმე, საჭიროებს დამატებით შესწავლას	1
		განმცხადებელს არ აქვს საკმარისი კვალიფიკაცია დამოუკიდებლად გამოიყენოს მოთხოვნილი ყველა სახელობო იარაღი, საჭიროებს დამატებით შესწავლას	0
4	**რისკები**		
	განმცხადებლის დამოკიდებულება საქმიანობისას შესაძლო რისკებთან და მათ შემცირების/აღმოფხვრის გზებთან დაკავშირებით	განმცხადებელს გააზრებული აქვს შესაძლო რისკ(ებ)ი; იცის როგორ მოახდინოს რისკების შემსუბუქება ან/და თავიდან აცილება და გეგმავს ან/და ახდენს მათ შემსუბუქებას/თავიდან აცილებას	2
		განმცხადებელს გააზრებული აქვს შემაფერხებელი გარემოებები, თუმცა არ აქვს ნაფიქრი ან/და არ გეგმავს გადადგას ნაბიჯები, მათ შემსუბუქებას ან/და თავიდან აცილებასთან დაკავშირებით	1
		განმცხადებელს არ აქვს გააზრებული შესაძლო რისკები. შესაბამისად, არ აქვს ნაფიქრი მათ შემსუბუქებას ან/და თავიდან აცილებაზე.	0
5	**განხორციელებადობა**		
	საგრანტო განაცხადით გათვალისწინებული იდეის რეალურობა, განხორციელებადობა და გრანტის მიზნობრივად გამოყენება	განმცხადებელს კარგად აქვს ჩამოყალიბებული, გააზრებული ის საქმიანობა, რის განხორციელებასაც აპირებს; იდეა რეალურია და მაღალია გრანტის მიზნობრივად გამოყენებისა და იდეის წარმატებით განხორციელების შესაძლებლობა.	2
		განმცხადებელს მეტნაკლებად აქვს გააზრებული ის საქმიანობა, რის განხორციელებასაც აპირებს; იდეა მეტნაკლებად რეალურია და შესაძლოა გრანტის მიზნობრივად გამოყენება და იდეის განხორციელება.	1
		განმცხადებელს ნათლად არ აქვს ჩამოყალიბებული, გააზრებული საქმიანობა/მისი იდეა არარეალურია ან/და დაბალია გრანტის მიზნობრივად გამოყენებისა და იდეის განხორციელების შესაძლებლობა.	0

6	**მდგრადობა**		
	განმცხადებლის საქმიანობის შეფასება, განხორციელების ადგილი, საშუალება; გასაღების ბაზარი; პოტენციური მომხმარებლები; კონკურენტები და განმცხადებლის უპირატესობა მათთან შედარებით; საქმიანობის გაუმჯობესების/განვითარების შესაძლებლობა და სხვა.	არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, საქმიანობა იქნება მდგრადი.	2
		არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, საქმიანობის მდგრადობა შესაძლებელია.	1
		არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, საქმიანობის მდგრადობას საფრთხე ემუქრება.	0
7	**ფინანსური ნაწილი**		
	გაუმჯობესებული ფინანსური მდგომარეობა	გრანტის მიღების შემთხვევაში, შრომა შეუმსუბუქდება და მაღალია ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობა	2
		გრანტის მიღების შემთხვევაში, შრომა შემსუბუქდება ან ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდება	1
		არ იკვეთება შრომის შემსუბუქება ან/და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება	0

გამარჯვებულად გამოვლინდება ყველაზე მაღალი ქულის მქონე განმცხადებლები (ჯამდება პირველადი შეფასების კრიტერიუმებით და წინამდებარე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმებით შეფასების შედეგად მიღებული ქულები). თუმცა, გამარჯვებულად ვერ გამოვლინდება განმცხადებელი, რომელიც „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმების შეფასების შედეგად მიიღებს 7-ზე დაბალ ქულას. წარმოდგენილი განაცხადების გათვალისწინებით, კომისია უფლებამოსილია დადგენილი მინიმალური ქულის ზღვარი შეცვალოს. გადაწყვეტილების მიღების დროს, მხედველობაში იქნება მიღებული მხარდაჭერისთვის არსებული ფინანსური რესურსი.

სააგენტოს გადაწყვეტილებით, შესაძლოა, საგრანტო კომისიის სხდომაში მონაწილეობა მიიღოს განმცხადებელმაც, რომელიც საგრანტო კომისიას წარუდგენს საკუთარ ინიციატივას და ასაბუთებს შესაძენად მოთხოვნილი სახელობო იარაღების საჭიროებას. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, დეპარტამენტი განმცხადებელს იწვევს საგრანტო კომისიის სხდომაზე. განმცხადებლის სურვილის შემთხვევაში, საგრანტო კომისია გაესაუბრება მას ტექნიკური საშუალების გამოყენებით. განმცხადებლის სხდომაზე გამოუცხადებლობის, ტექნიკური საშულების გამოყენებით გასაუბრების შეუძლებლობის ან განმცხადებლის მიერ გასაუბრებაზე უარის თქმის შემთხვევაში, საგრანტო კომისია საგრანტო განაცხადს აფასებს მხოლოდ არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე.

საგრანტო განაცხადის შეფასებისას გათვალისწინებული იქნება განმცხადებლის მოწყვლადობა (განმცხადებელი ან/და მისი ოჯახის წევრი არის შშმ პირი, მარტოხელა მშობელი, მარჩენალდაკარგული, ვეტერანი, პენსიონერი, ჰყავს არასრულწლოვანი ოჯახის წევრი), თუმცა დამატებითი ქულა მინიჭებული არ იქნება. მოწყვლად განმცხადებელს მიენიჭება უპირატესობა თანაბარი ქულის დაგროვების შემთხვევაში. მოწყვლადობა შემოწმდება სააგენტოს მონაცემთა ბაზაზის მიხედვით, ამასთან, დასადასტურებლად საგრანტო განაცხადთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს წინამდებარე პროგრამის 3.1. პუნქტში გათვალისწინებული მოწყვლადობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

3.3. გამარჯვებული საგრანტო განაცხადის გამოვლენა

პროგრამის ფარგლებში, გამარჯვებულად გამოვლინდება ყველაზე მაღალი ქულის მქონე საგრანტო განაცხადები, პროგრამისათვის განკუთვნილი ფინანსური რესურსის ფარგლებში.

კომისია უფლებამოსილია დააკორექტიროს განმცხადებლის მოთხოვნა, იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნილი ნივთი კონკრეტული პროფესიის მქონე განმცხადებლისათვის არ წარმოადგენს სახელობო იარაღს ან მიიჩია, რომ განმცხადებელს არ აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია/უნარი გამოიყენოს მოთხოვნილი ნივთი.

კომისიის მიერ დადებითი და უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, დირექტორი გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

საჭიროებისამებრ, დეპარტამენტის მოთხოვნის შემთხვევაში, გამარჯვებულად გამოვლენილი ბენეფიციარები შესაბამისი შეტყობინების მიღების შემდეგ, ვალდებულნი არიან წარუდგინონ დეპარტამენტს 3 ინვოისი საგრანტო კომისიის მიერ დასაფინანსებლად განსაზღვრულ ნივთებზე, მახასიათებლების, მოდელებისა და ღირებულების მითითებით. ინვოის(ებ)ის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი უფლებამოსილია საგრანტო კომისიასთან შეთანხმებით, გააუქმოს განმცხადებლის გამარჯვებულად გამოვლენის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება.

სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობიდან გამომდინარე, სააგენტო განახორციელებს ნივთების შეძენას იმ მახასიათებლების მიხედვით, რომელიც აქვს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილ ნივთ(ებ)ს. იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებულად გამოვლენილი ბენეფიციარის მიერ შესაძენად მოთხოვნილი საქონლის/მომსახურების ერთეულის ღირებულება არ აღემატება 1 000 ლარს, მისი შეძენის დაფინანსება განხორციელდება ვაუჩერისა და შესაბამისი სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე. თითოეულ საქონელზე/მომსახურებაზე გაიცემა თითო ვაუჩერი, მათ შორის ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც ერთი გამარჯვებული განმცხადებლისთვის შესაძენია რამდენიმე საქონელი/მომსახურება, რომლის ერთეულის ღირებულება 1 000 ლარს არ აღემატება (გამონაკლისი შესაძლოა დაშვებული იქნეს თუ ერთი განმცხადებლისთვის შესაძენია რამდენიმე ერთგვაროვანი საქონელი/მომსახურება, რომლთა ჯამური ღირებულება არ

აჭარბებს 1 000 ლარს). შეძენის შედეგად, შესაძლებელია თითოეულ ბენეფიციარისთვის შეძენილმა ნივთების ჯამურმა ღირებულებამ გადააჭარბოს თანხის პროგრამით განსაზღვრულ ზღვრებს, თუმცა, აღნიშნულმა გავლენა არ უნდა მოახდინოს პროგრამის ჯამურ ბიუჯეტზე. იმ შემთხვევაში, თუ ბაზარზე ფასების ცვლილების გათვალისწინებით, შესაძენი ნივთების ღირებულება აჭარბებს პროგრამის ბიუჯეტს, საგრანტო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, სააგენტო უფლებამოსილია განიხილოს პროგრამის ბიუჯეტის ცვლილების საკითხი შესაბამისი საბიუჯეტო ასიგნებების არსებობის ფარგლებში.

გამარჯვებული განმცხადებლისთვის მოთხოვნილი საქონელის/მომსახურების, რომლის ერთეულის ღირებულება 1 000 ლარს არ აღემატება, შეძენის მიზნით სააგენტოს მიერ საჯაროდ ცხადდება მომწოდებლის გამოვლენის მიზნით ინტერესების გამოხატვის წინადადებების მიღება და დაინტერესებულ მომწოდებლებთან გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება. შერჩეული მომწოდებლისგან საქონლის/მომსახურების, რომლის ერთეულის ღირებულება არ აღემატება 1 000 ლარს, შეძენა განხორციელდება ვაუჩერისა და მასთან დაკავშირებული ხელშეკრულების მეშვეობით.

გამარჯვებულებსა და სააგენტოს შორის ფორმდება საგრანტო ხელშეკრულება. გამარჯვებული ვალდებულია მიღებული სახელობო იარაღ(ებ)ი გამოიყენოს პროგრამის მიზნის შესაბამისად, საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერიდან არანაკლებ 2 წლის განმავლობაში.

3.4. პროგრამის გავრცელების არეალი

პროგრამა ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

3.5. პროგრამის ხანგრძლივობა

პროგრამა ხორციელდება 2021-2022 წლებში.

4. პროგრამის ბიუჯეტი

2022 წლისათვის პროგრამისათვის დადგენილი ბიუჯეტია 100 000 ლარი. დაფინანსება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სააგენტოსათვის გამოყოფილი, ყოველწლიური, შესაბამისი საბიუჯეტო ასიგნებებიდან.

5. პროგრამის მონიტორინგი

მონიტორინგი მიზნად ისახავს ერთი მხრივ, პროგრამის ბენეფიციართა მუდმივ კონტროლს, მეორე მხრივ კი პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის არამიზნობრივი ხარჯვის თავიდან აცილებას.

პროგრამის ფარგლებში, განხორციელდება როგორც პირველადი, ისე შემდგომი მონიტორინგი 2 წლის განმავლობაში. პირველადი მონიტორინგის მიზანია, დადგინდეს საგრანტო განაცხადით მოთხოვნილი სახელობო იარაღების შესყიდვის აუცილებლობა და შეფასდეს პროექტის განხორციელებადობა, მდგრადობის საკითხის გათვალისწინებით. პირველადი მონიტორინგი ხორციელდება როგორც საველე ვიზიტების, ასევე, სატელეფონო კომუნიკაციის გზით. პირველადი მონიტორინგის კონკრეტული სახე შეირჩევა წარმოდგენილი საგრანტო განაცხადის შინაარსიდან და არსებული საჭიროებიდან გამომდინარე.

შემდგომი მონიტორინგი განხორციელდება მხოლოდ დაფინანსებულ ბენეფიციარებთან. მისი მიზანია, შემოწმდეს გრანტის ფარგლებში გადაცემული სახელობო იარაღების მიზნობრივად გამოყენების ფაქტი და შეფასდეს გაუმჯობესებული საარსებო მდგომარეობა.